აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 30

05 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის № 29 განკარგულების საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1. გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის შექმნილ №79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი თითოეულ საარჩევნო ოლქში თითო ვაკანტურ თანამდებობაზე.

მუხლი 2. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის კონკურსის ჩატარების წესი, პირობები და ვადები განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის № 29 განკარგულებით.

მუხლი 3. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში იქმნება სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნერვისტან ფაღავა - სამდივმოს უფროსი;

ბ) სოფიო ვარშალომიძე.

მუხლი 4. სამდივნოს ზედამხედველობას გაუწევს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაცია სამდივნოს წარედგინება 10 სთ-დან - 18 სთ-მდე.

მუხლი 6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია